

**შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის**

**განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი)**

**სამოქმედო გეგმა 2014–2019 წლები**

სასწავლებლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს იმ პროექტების შემუშავებასა და რეალიზებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების ხარისხის თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აყვანას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმების გარანტიას.

გრძელვადიანი ამოცანები უნდა განხორციელდეს სასწავლებლის საქმიანობის შემდეგ მიმართულებებში:

I სასწავლო პროცესი

II საბიბლიოთეკო საქმიანობა

III საინფორმაციო საქმიანობა და განახლებადი ვებ-გვერდის მუდმივი სრულყოფა

IV დაწესებულების ინფრასტრუქტურა

V სხვადასხვა საწარმოებთან ხელშეკრულებების გაფორმება სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით

VI სოციალური საკითხები, სპორტი.

გასატარებელი ღონისძიებები

### **1. სასწავლო პროცესი**

- საგანმანათლებლო საქმიანობის სამსახურის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს: სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, პროგრამების შექმნაზე, განახლებაზე და შესრულებაზე, სემესტრის განმავლობაში ლექციების, პრაქტიკულების, ლაბორატორიული სამუშაოების, შუალედური და საბოლოო გამოცდების მიმდინარეობაზე პერნამენტულ კონტროლს.
- სტუდენტთა ცოდნის დონის შეფასების ECTS-ის მიერ რეკომენდებული სკალის გამოყენებას, რომელიც აადვილებს კრედიტთა ტრანსფერის პროცედურას.

- საინფორმაციო-ტექნოლოგიების კაბინეტის მოდერნიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ლიტერატურის მოძიებას, აგრეთვე სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიების გამოყენებას.
- კოლეჯის სტატუსის ამაღლება საზოგადოებრივი კოლეჯის ორგანიზაცია IV და V საფეხურის პროფესიული პროგრამების შემოღება.

## 2. საბიბლიოთეკო საქმიანობა

- ბიბლიოთეკა სტუდენტთა და პედ. პერსონალის მომსახურების პრიორიტეტულ სფეროს განეკუთვნება, რაც საჭიროებს ინფრასტრუქტურისა და ფონდების უწყვეტ განახლებას.
- უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის შექმნა
- ბიბლიოთეკის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემების ფონდის გამდიდრება.

## 3. საინფორმაციო საქმიანობა

- ელექტრონული სწავლების ფორმების დანერგვა
- დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა

## 4. კოლეჯის ინფრასტრუქტურა

სასწავლებლის ინფრასტრუქტურა უნდა ემსახურობდეს სასწავლებლის ძირითადი მიზნების მიღწევას. ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია:

სასწავლო კორპუსი, აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, მათი მოწესრიგება და ტექნიკურად გადაიარაღება, ძირითადი სასწავლო ფუნქციის წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა.

გასატარებელი ღონისძიებები:

- შენობის დარჩენილი ნაწილის კაპიტალური რემონტი და ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა. მთელ შენობაში სასწავლო პირობების გაუმჯობესება, სასწავლო აუდიტორიების თანამედროვე დონეზე აღჭურვა
- შენობის სრული დატვირთვა, ახალი საჭირო /სასოფლო-სამეურნეო მიმართულების/ სპეციალობების მოზიდვა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მინი ქარხნის შექმნა, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით.
- ახალი სახელოსნოების მოწყობა და მისი ორგანიზაცია
- სასწავლო კორპუსის და მისი ეზოს სრული რეაბილიტაცია, სკვერების მოწყობა.

## 5. კავშირები სხვა სასწავლო დაწესებულებებთან.

საერთაშორისო და შიდა კავშირების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სასწავლებლის ფუნქციონირება, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ჰარმონიზება, ერთობლივი სასწავლო პროექტების შესრულება, მოწინავე სასწავლებლის საბიბლიოთეკო ფონდებთან კავშირი.

- პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო გეგმებთან და პროგრამებთან ჰარმონიზება
- პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი სასწავლო პროექტების დამუშავება

**6. სოციალური საკითხები, სპორტი.**

- სასწავლებლის თანამშრომლებისა და სტუდენტების სოციალურ მდგომარეობაზე ზრუნვა უნდა იყოს ადმინისტრაციის მუდმივი ყურადღების საგანი, შრომის ანაზღაურების პერიოდული ზრდა, წარმატებული სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფა და დასაქმებისათვის ზრუნვა.
- თანამშრომელთა და სტუდენტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა, სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბებით.
- სპორტის ხელშეწყობა და სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, ტრენაჟორების კაბინეტის მოწყობა.
- ზრუნვა მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვისა და არსებული კადრის პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

**კოლეჯის SWOT ანალიზი**

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. კაპიტალური შენობა 2. ბიბლიოთეკა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით 3. შრომის მაღალი ანაზღაურება 4. მაღალკვალიფიციური პედ.პერსონალი 5. მაღალი დონის პროფესიული პროგრამები 6. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა	1. შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა. 2. სტუდენტთა სწრაფი კვების ობიექტის უზრუნველყოფა 3. უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის გამოცდილების დეფიციტი

**სტრატეგიული**

**განვითარების 2014-2019 წლების გეგმა**

N	ღონისძიების (პროექტის) დასახელება	განაწილება წლების მიხედვით					
		2014	2015	2016	2017	2018	2019
<b>I. მართვის პროცესი</b>							
1.1	კოლეჯის სარეზერვო ფონდის შექმნა		X	X			
1.2	კოლეჯის საქმიანობის რეკლამირება	X	X	X	X	X	X
1.3	პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება და მათ პროფესიონალიზმზე ზრუნვა	X	X	X	X	X	X
1.4	ახალი მოდულური პროფესიული პროგრამების დამატება და პილოტირება			X			

1.5	მთლიანად გადასვლა მოდულური საგანმანათლებლო განხორციელებაზე				X	X	X
1.6	პროფესიული კოლეჯის (III საფ) გადასვლა საზოგადოებრივ კოლეჯზე (IV, V საფ.)				X	X	X
1.7	კოლეჯის კატალოგის გამოცემა	X	X	X	X	X	X
1.8	ვებ-გვერდის მუდმივი სრულყოფა-განახლება	X	X	X	X	X	X
1.9	მასწავლებელთა სარეიტინგო სისტემის ჩამოყალიბება და რეალიზება	X	X	X	X	X	X
1.10	სტუდენტთა თვითმმართველობის პროექტების რეალიზება	X	X	X	X	X	X

## II. სასწავლო პროცესის ორგანიზება

2.1	სასწავლო პროგრამების და სილაბუსების ელექტრონული უზრუნველყოფა ყველა სასწავლო კურსისა და სპეციალობისათვის	X	X	X	X	X	X
2.2	ავტორიზაციისათვის მომზადება	X					X
2.3	ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება			X	X	X	X
2.4	საზოგადოებრივი კოლეჯის ორგანიზება IV და V საფეხურის პროგრამების შემოღება				X	X	X

## III. სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

3.1	სარემონტო სამუშაოების ჩატარება	X	X	X	X	X	X
3.2	კომპიუტერების რიცხოვნობის ზრდა		X	X	X	X	X
3.3	ტექნიკის შეძენა-განახლება სასწავლო პროცესის მომსახურებისათვის		X	X	X	X	X
3.4	ბიბლიოთეკის შევსება ახალი ლიტერატურით		X	X	X	X	X
3.5	საკონფერენციო დარბაზის მოწყობა		X	X	X		

## IV. კვლევითი და პრაქტიკული მუშაობა

4.1	რეგულარული პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება	X	X	X	X	X	X
4.2	საკუთარი გაზეთის დაარსება	X	X	X	X	X	X
4.3	დისტანციური სწავლების ფორმების შემუშავება-დანერგვა	X	X	X	X	X	X